ქალაქ ბორჯომის განაშენიანების გეგმის კონცეფციის

საჯარო განხილვა

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში ა(ა)იპ-ის ,,სითი ინსტიტუტი საქართველო“ მიერ წარმოდგენილ იქნა ქალაქ ბორჯომის განაშენიანების გეგმის კონცეფცია.

დოკუმენტაცია შემუშავდა სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსა და ა(ა)იპ-ს ,,სითი ინსტიტუტი საქართველო“ შორის 2023 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N167-2023 ხელშეკრულების (კონკურსი CNT230000083) საფუძველზე.

დაგეგმვის მიზანია დასახლებების მდგრადი განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობა, ღირსეული, უსაფრთხო გარემოს შექმნა და განვითარება.

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აღნიშნული პროექტი ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურებს.

ქალაქ ბორჯომის განაშენიანების გეგმის კონცეფციის საჯარო განხილვა დაიგეგმა 2025 წლის 5 მარტს 14:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, კოსტავას მოედანი N3, კულტურის და ხელოვნების ცენტრი.

საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება ქალაქ ბორჯომის განაშენიანების გეგმის კონცეფცია ელექტრონული და მატერიალური სახით.

განხილვაზე დასწრება, მასში მონაწილეობის, ასევე, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იქნება საჯარო განხილვის ჩატარებიდან **15 სამუშაო დღის ვადაში,** სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში, შემდეგ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sajaro.gankhilvebi@suda.gov.ge; ასევე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქუჩა, N 5

დოკუმენტაცია ატვირთულია შემდეგ ბმულზე:

https://drive.google.com/drive/folders/1HvljVFcM63mzotST8_U39uSNbBXrUl4W?usp=sharing